წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. ოთხშაბათი, 21 ენკენისთვე 1916 წ. № 209

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**გარემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი**



ბარძიმი თეიმურაზის ძე, ნინო ბერიძის ასული ჯაფარიძენი, შვილი მათი რაჟდენ ბარძიმის ძე, რძალი ანნა ივანეს ასული ჯაფარიძენი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი გარდაცვალებულის პირველის საყვარელი შვილის, მეორისი ძმის, მეს - მესი მაზლის უკანასკნელის ძვირფასი ბიძის პ აპორშჩიკის

## ლავრენტი ბარძიმის ძის ჯაფარიძის

სულის მოსახსენებლად გარდაცვალებიდან 40 თავზე პანაშვიდი დანიშნულია ხუთშაბათს 22 ენკენისთვეს დიდუბის ეკლესიაში ნაშუადღევის პირველ საათზე.

(1—340—1)



ეფემია გრიგოლის ასული, დავით და მიხეილი გრიგოლის ძენი გიორგიევები, ნინო გრიგოლის ასული უგრელიძე შვილებითურთ და ელენე გრიგოლის ასული ბაირამაშვილი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 21 ენკენისთვეს დღისით 2 საათზე გარდახდილი იქნება 40 დღის პანაშვიდი ძმისა და ბიძისა

## დიმიტრი გრიგოლის ძის გიორგიევისა

კალოუბნის ეკლესიაში.

(1—341—1)



ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელ. საზოგადოების

## ქუთაისის განყოფილების

გამგეობა ეძებს თავისი სტამბისთვის გამგეს, რომელსაც ცოდნა და გამოცდილება ჰქონდეს, როგორც სტამბის წარმოების ტეხნიკურ მხარეში, ისე მის ადმინისტრატიულ ხელმძღვანელობაში.

**ჯამაგირი შეთანხმებით**

მსურველთ თავისი განცხადება უნდა წარმოადგინონ ქუთაისის განყოფილების კანცელარიაში (შავი ქვის საბჭოს ბინაზე) ამა წლის 1 ოქტომბრამდე.

(6—251—4)



## ახალი მელანი

## კოტე ონიკაშვილისა

მელანი ასლის ასაღებადაც („კაპიროვკისთვის“) კარგია

დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგ ფასებში

ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ღირება 1 მ. 20 კაპ.

ფუთი უბრალო შუშით 40 მან.

ხანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.

მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს

მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.



## შეშის საწყობი

## ნიკოლოზ იოს. ბრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასზ

## საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.



ღვინის საწყობი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

## კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)



აკაკის სახელობის

## ქართული საბავშვო ბაღი

## ან. გედევანიშვილისა.

მიიღება ბავშვები 3—7 წლამდე. სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს. ჩაწერა შეიძლება სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში, დილის 10—1 საათამდე.

(4—336—2)






„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ლობიო, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები მეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი

(თ. 253—4) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. გ. ქურთაური



პირველ ხარისხოვანი რესტორანი

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა ხაჭაპური |
| ვახშმები | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით **ხილ. ს. გიგიბერია.**



საუკეთესო კახური

## ღვინის საწყობი

## ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)



## ექიმი ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣлъ), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება



გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა



ექიმი

## მ. ი. ვარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)



დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.



უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

## ა. დ. შაჰბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე დებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.



ექიმი-დოსტაქარი

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.



დ. ზისტაფონში

ექიმი

## დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე



სასცენო სტუდია

## ს. ნ. ვორონოვის

## ხელმძღვანელობით.

**მეცადინეობა რუსულსა და ქართულს ენაზე**

ასწავლიან შემდეგ საგნებს:

**ბაუერ-ზაქსი**—პლასტიკას.

**ვორონოვი**—დიქცია-დეკლამაციას და სასცენო ვარჯიშობას.

**ელპის-ზარაფიდი**—გიმნასტიკას.

პეტროკოვსკი-გრიმსა დ ტანთსაცმელს (კოსტიუმს), ისტორიას.

**რატოვი**—მიმოდრამას.

**რობაქიძე**—ესთეთიკას.

**ახმეტელი**—თეატრის ისტორიას.

მეცადინეობა უკვე დაიწყო. მოწაფეთა მიღება გრძელდება. ცნობების გაგება შეუძლიათ ყოველ-დღე 12—1 საათზე დღისით და საღამოთი 3½—4½ ს., ნიკოლოზის ქ. 64, ბინა ვორონოვისა.

(თ.—254—1)


# უპუროპა

თბილისის მცხოვრებთა ინტერესი ქალაქის თვითმართველობას ნაკლებად აფიქრებს. მთელი ათი დღეა რაც ქალაქი პურს ველარ შოულობს. ფურნე-თორნეები მიუვალ ციხე-სიმაგრეებად გადაიქცა. მათი დახშული კარების წინ სდგას რიგზე გამწკრივებული ქალი, კაცი, მოხუცი თუ ბავშვი. დამწუხრებული სახეები საათობით უცდიან, თუ როდის გამოაღებს პატარა ფანჯარას ჭირვეული მეფურნე.

ამ მდგომარეობას მთელი არევ დარევა შეაქვს მოქალაქის ოჯახის ცხოვრებაში, განსაკუთრებით ხელ-მოკლე ოჯახების ცხოვრებაში, რომელნიც თავიანთი გარჯით და შრომით შოულობენ არსობის პურს. ან დედა-კაცი უნდა მოსცდეს სამუშაოს პურის საყიდლად, ან კიდევ მამაკაცი. ეს უბედურობის ერთი პირია. მეორე და უფრო საშინელი მხარე ის არის, რომ ხალხი იძულებულია ყოვლად უვარგისი და გამოუმცხვარი პური იყიდოს. სიმშილით ოჯახის ამოწყვეტას ცომის ჭამით სიკვდილი ურჩევნია. შეუძლებელია ადამიანის კუჭმა მოინელოს ის პური, რომელსაც გარემოების ძალდატანებით, თბილისის მცხოვრები დღეს სჭამს. ქალაქის სანიტარიას, რამდენადაც ვიცით, თადარიგი არ მოუხდენია, რომ ქალაქის პოლიციას ამ გარემოებისთვის ყურადღება მიექცია. ეს არც ისეთი ძნელი საქმეა, რადგანაც წესრიგის დამცველად ყოველ ფურნესთან „გოროდოვოი“ დგას და ანალიზისთვის სანიმუშო პურს ყოველთვის წარმოადგენდა, უკეთუ ეს ნაბრძანები ექნებოდა. აუცილებლად საჭირო არის ქალაქის გამგეობამ ამ გარემოებას ყური მიაქციოს და მეპურეთა საყურადღებოდ გამოაცხადოს, რომ პასუხის გებაში იქნებიან მიცემული, ვინც უვარგისსა და გამოუმცხვარ პურს გაჰყიდის. ქალაქის გამგეობამ იმ თავითვე ყური არ ათხოვა მეპურეთა განცხადებას პურის ნიხრის აწევის შესახებ. დღესაც, როგორც სჩანს, რეპრესიულ ზომებს მეპურეები სწორედ ამ მიზნით მიმართავენ. საჭიროა მეპურეთა ხსენებული წინადადების დაუყონებლივ გარჩევა. საერთო გაძვირების დროს, იქნებ პურის ნიხრის მომატებაც მართებული ღონისძიება იყოს. ყოველ შემთხვევაში ქალაქის მცხოვრებს ურჩევნია ერთი ორი კაპიკი მეტი გადაიხადოს, ოღონდ ვარგიანი და გამომცხვარი პური იშოვოს. თუ ქალაქის გამგეობას ამ საკითხში დათმობა არ სურს, მცხოვრებთა გამოკვება მან თითონ უნდა იკისროს საკუთარი ფურნეების საშუალებით. ამ მხრივ კი არაფერი კეთდება. მდგომარეობა თანდათან რთულდება. პირველ დღეების მოთმინება საზოგადოებას ეკარგება. შეიძლება სამწუხარო ექსცესები მოხდეს. იქნებ ვინმესთვის ეს ხელსაყრელიც იყოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ხალხისთვის. თბილისის საზოგადოება მოითხოვს ქალაქის თვითმართველობისაგან ამ საკითხის სწრაფ მოგვარებას მთელი მცხოვრებთა ინტერესის მიხედვით.

გ. ვაშაძე.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

საზამთრო კამპანიას მოპირდაპირენი ბალკანეთით იწყობენ. სასტიკი ბრძოლაა როგორც ბრძოლის ასპარეზზე, ისევე პოლიტიკურ სფეროში. ორივე მოპირდაპირენი ყოველ ღონეს იღებენ საბერძნეთი თავის ხელსაყრელად გამოიყენონ და მსოფლიო ომში მონაწილეობა მიაღებინონ. საქმე იქამდის მივიდა, რომ თვით ხალხი ორ ბანაკად გაიყო და ერთი მეორეს იარაღით ხელში შეტევას უქადის. თვით ვენ. ზელოსს საკუთარი კაბინეტი შეუდგენია დ ხალხს მოუწოდებს აიძულოს მეფე მოკავშირეთა სასარგებლოდ იარაღი აისხას. თვით მეფე კონსტანტინე თავის ჯიუტობაზე ოდნავაც ხელს არ იღებს, არც ჰფიქრობს მოკავშირეების დახმარებაზე. ამავე დროს ბულგარელები და გერმანელები ერთის მხრით დ ავსტრიელები მეორეს მხრით რუმინეთს რკალს აკრავენ და გადამწყვეტ ბრძოლისათვის ემზადებიან. არა ერთხელ გვითქვამს, რომ ბრძოლის ასპარეზის მოხაზულობა საზღვრების მიხედვით რუმინეთისთვის ხელსაყრელი არ არის. მთელი თავისი ტერიტორიის დიდი ნაწილით ბულგარეთის და ავსტრიას შუა სოლივით არის შეჭრილი და მასთანვე რამდენადაც ავსტრიელებს საფარად მთა-გორები აქვთ ჩამწკრივებული და მიუვალ ადგილებს წარმოადგენს, იმდენად თვით რუმინეთის ნაწილი, სახელდობრ, ვალახია, უფრო ფართო მდებარეობისაა. ასეთივე ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს ბულგარელებისათვის მდ. დუნაი. აი ასეთ მოხაზულებაში მყოფს სახელმწიფოსათვის აუცილებლივ საჭიროა ერთი მხრით მაინც უზრუნველყოფილი იყოს, არ აბრკოლებდეს რაიმე ხიფათი, რომ მეორე მთავარ ასპარეზით უფრო გაბედულად აწარმოვონ ოპერაცია. დღევანდელ დღეს რუმინეთი სწორეთ ასეთ მდგომარეობაში იმყოფება. თუ ბულგარელები და გერმანელები დობრუჯში უტევენ და მდ. დუნაის გადალახვას ცალკე ლამობენ, რომ მალახიაში შეიჭრან, სამაგიეროდ ავსტრიელები ჩრდილოეთით აწვებიან და გერმანშტატიდან რუმინეთის ჯარებს გზის გადაჭრას უქადიან.

რუსეთის მთავარ-შტაბის ცნობით, მდ. ზოლოტოი ლიპაზე სასტიკი ბრძოლა გაჩაღებულა. ჩვენ გვგონია, რომ აქ ავსტრიელების შეტაკებას კავშირი აქვს ბროდის მიმართულებით გენ. სახაროვის მიერ დაწყებულ შეტევასთან. უკანასკნელი სამაგიეროდ უფრო გამოწვეული უნდა იყვეს რუმინეთის მდგომარეობით. რუმინეთის ასპარეზს საერთოდ რუსეთისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. არასოდეს არ მიიყვანს საქმეს იქამდის, რომ რუმინეთის ტერიტორია გერმანელებმა და ბულგარელებმა იგდონ ხელში. ეს მაშინ, თუ ბალკანეთის სამუდამოთ არა, კარგა ხნობით დაკარგვას მოასწავებდა.

გ. ნ. სახაროვის შეტევა უეჭველია აიძულებს მოპირდაპირეს ძალები მიიზიდოს და რუსების წინსვლა შეაჩეროს. ლვოვის და გალიჩის დაკარგვა უთუოდ გზას გაუხსნის უნგრეთისაკენ რუმინეთის ნაპირებით რუსის ჯარს და საშუალებას მისცემს აგრეთვე ტრანსილვანიაში ფართო ოპერაციები დაიწყოს.

ჩვენ გვგონია, რომ გერმანელები გენ. სახაროვის შესაფერხებლად სადმე, უფრო-კი კოველის და ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით, შეტევას დაიწყებენ:

დანარჩენ ბრძოლის ასპარეზზედ არსად ღირსშესანიშნავი ცვლილება არ მომხდარა.

X.

# ომის დეპეშები

## უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

20 ენკენისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მდინარე ნარაიუვკის მიდამოში და მდ. ზოლოტოილიპას მარჯვენა ნაპირის სიმაღლეებზე მედგარი ბრძოლა გრძელდება. კონტრ-იერიშით წამოსული მოპირდაპირე, დიდი ზარალით მოვიგერიეთ. დავატყვევეთ 1600 ავსტრიელი ჯარისკაცი, მათ შორის ოსმალონი და გერმანელებიც ერივნენ. მდ. მისტრიცაზე ბოგოროდჩანის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა დაატყვევეს ორი საველე დარაჯი და სადარაჯო დაანგრიეს. ტყიან კარპატებიდან რუმინეთის საზღვრებამდე ენკენისთვის 6—15-მდე გენ. ლეჩიცკის ჯარს ტყვედ წამოუყვანია სულ 13 აფიცერი და 2596 ჯარისკაცი. დავლად დაგვრჩენია ამავე დროს განმავლობაში 4 ზარბაზანი, 13 ტყვიისმფრქვეველი, 2 ნაღმისმტყორცნელი, 1 ყუმბარისმტყორცნელი, 75 ყუმბარის ყუთი, რამდენიმე ათასი ვინტოვკა და ბევრი პატრონა.

19 ენკენისთვე.

**ლონდონი.** ოფიციალი ცნობა. მტრის რამდენიმე დირიჟაბლი საღამოს 9 საათიდან შუაღამემდე თავს დაესხა ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროებს. სხვა და სხვა ადგილას ყუმბარები ჩამოჰყარეს. ჯერ არ მოსულა ცნობები ზარალის თაობაზე. თავდასხმა გრძელდება. რამდენიმე დირიჟაბლი აღარ ეშვება ლონდონის გარე უბნებს. ერთი დირიჟაბლი, ცეცხლ მოდებული, ჩამოვაგდეთ.

**ლონდონი.** სოლუნიდან მიღებული ინგლისის ოფიც. ცნობა 18 ენკენისთვის თარიღით. დოირანის ასპარეზზე ჩვენი ზარბაზნები ჩვეულებრივად მოქმედობდა. სტრუმას ასპარეზზე ორლიაკის ხიდის ქვემოდ, ჩვენმა ჯარმა ბულგარელების ბრძოლის ხაზის ნაწილი დაიპყრეს. ცხარე ბრძოლის და ზარბაზნების სროლის შემდეგ საღამოს განმავლობაში დაპყრობილი ადგილი გავაფართოვეთ. მთელი დღის განმავლობაში მოპირდაპირის 6 იერიში მოვიგერიეთ, 100 ტყვე ჩვენი ჯარის ზურგის მხარეს გავისტუმრეთ. ბრძოლა გრძელდება.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. შამპანში, მენილის ბორცვის სამხრეთ მიდამოებში მტერმა ორჯელ მოულოდნელად ძლიერი სროლა აგვიტეხა. მოვიგერიეთ. ტაგურის აღმოსავლეთითაც უეცრად შემოგვიტია, მაგრამ უნაყოფოდ. ლონგაზენის მიდამოში, სომას ბრძოლის ხაზზე, მტრის დაბმული შარი ჩამოვაგდეთ.

მახლობელ აღმოსავლეთში. დოირანის ტბიდან ვარდარამდე ხამუშ-ხამუშ ზარბაზნებით ბრძოლაა. ბელეშის მთის ძირში მზვერავთა შეჯახებაა. ყაიმაკჩალანის მიდამოში სერბიელებმა ბულგარელების გამაგრებულ სიმაღლეზე იერიში მიიტანეს. მოპირდაპირე თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ ბოლოს ბრძოლის ველზე დასტოვა ბევრი მოკლულის გვამი და უკან დაიხია. ბულგარელების ბატარეა სერბიელებს ჩაუვარდათ ხელში. ჩვენმა ჰაეროპლანმა სოფიას ყუმბარები დაუშინა და ბუქარესტის გზაზე დაეშვა.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. სომას ჩრდილოეთით ფრანგებმა აიღეს ბუშავენის აღმოსავლეთით მდებარე გერმანელების თხრილი.

მფრინავმა ბლოკმა, ბაპომის აღმოსავლეთით, დაბმული შარი ჩამოაგდო.

მახლობელ აღმოსავლეთში—სტრუმის მარცხენა ნაპირას სერბიელებმა ბულგარელების კონტრ-იერიშები მოიგერიეს. ცრნის აღმოსავლეთით სერბიელებმა 2 ვერსით წინ წაიწიეს ყაიმაკჩალანის ჩრდილოეთით.

ჩვენს მარცხენა ფრთაზე ნისლი საომარ მოქმედებას აფერხებს.

20 ენკენისთვე.

**ჰააგა.** ჰოლანდიის გემი „პრინცი ხენდრიკი“ ინგლისის მიმართულებით გაამგზავრეს გერმანელებმა. ხოლო ზედ მყოფი 64 მგზავრი კი ტყვედ დაიტოვეს.

**ბუქარესტი.** რუმინელთა ოფიციალი ცნობა. გუშინ დილის 6 საათზე ფრანგის მფრინავი საროვიჩიდან მონასტირის ასპარეზზე გაემართა, მას უნდა გადაევლო სოფია და ბუქარესტში მისულიყო. მფრინავმა სოფიას გადაუფრა, ყუმბარები დაუშინა და ბუქარესტში მივიდა იმავე დღეს დღისით თორმეტის ნახევარზე. გერმანელების მფრინავები დაედევნენ ფრანგის მფრინავს.

**მუკდენი.** მუკდენის და გირინის ჩინელთა ჯარის უფროსებმა სავსებით შეასრულეს იაპონიის მოთხოვნილება და ამ მიდამოებიდან ჯარი გაიყვანეს. სამხრეთ-აღმოსავლეთით მანჯურიაში სიპინგაი-ჩჟენცზია-ტუნისა და ჩუნჩჟულინ-ჩაილინსიანის ხაზზე ყველგან იაპონელების სადარაჯოებია. იაპონელების დანარჩენი ჯარი ჩანჩუნის ალლუმებში მონაწილეობის მისაღებად დაიბარეს.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან: რეიხსტაგში კანონპროექტი შეიტანეს, რომლითაც თხოულობენ, რომ პარლამენტის რწმუნებულებანი 1918 წლის 12 იანვრამდე დარჩეს ძალაში. თუ ეს ვადა საკმაო არ აღმოჩნდა, მის გაგრძელებაზე აღიძვრის საკითხი.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

## რუმინეთის ასპარეზი.

ვლადიმირ-ვოლინისა და სოკალის მხარეს მედგარი ბრძოლაა. ლინცინგენის ჯარი თავგამოდებით იბრძვის, რომ გენ. კალედინის ჯარს კოველსა და ლვოვის შუა მდებარე მიდამო ხელში არ ჩაუგდოს, რადგანაც ამ ადგილის დაკარგვა გერმანელების სტრატეგიას შესცვლის.

კოველის, ვლადიმირ-ვოლინის, ზლოჩოვსკის და გალიჩის ხაზზე გერმანელებს დიდძალი ჯარისთვის მოუყრიათ თავი. აქ მომეტებულად გერმანელებია, ოსმალებიც და ავსტრიელებიც არიან, თუმცა ნაკლები. სადაც კი რუსის ჯარი მძლავრად შეუტევს, მაშინვე გერმანელ ჯარს წამოსწევენ ხოლმე წინ. აქ მოპირდაპირე მოსაგერიებელ ბრძოლისთვის არის ყოველგვარად გამზადებული.

### საბერძნეთი.

საბერძნეთის მეფე კონსტანტინეს სადარბაზოდ წარუდგნენ გენერლები-კალარისი, გენადისი, მოსხოპულოსი და იანაკიტსასი. მათ სცადეს მეფე დაერწმუნებინათ ომში ჩარევის საჭიროებაში. მეფემ განუცხადა: ნამდვილი ცნობები მაქვს, რომ გერმანელები ბალკანეთზე დიდძალ ჯარს გადმოიყვანენ, რადგანაც ბალკანეთის ასპარეზს უპირველეს მნიშვნელობას აძლევენ. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ასპარეზებიდან აქეთ გადმოიყვანენ ჯარის უმრავლესობას, რომ მოკავშირეები ზღვაში გადაჰყარონ. ამის გამო საბერძნეთის ჩარევა მოკავშირეთა დასახმარებლად საბერძნეთის განადგურებას უდრის.

სალონიკის რევოლიუციონერთა კომიტეტი თანდათან ძლიერდება და ახალ მიდამოებს იმხრობს.

საბერძნეთის წყლებში რუსეთის სამხედრო გემებს მოელიან.

—

ათინიდან იტყობინებიან: ვენიზელოსის გამოსვლას საბერძნეთის პრესა ვრცელ წერილებს უძღვნის. ვენიზელოსის მომხრე გაზეთები ჰფიქრობენ, რომ მისსა და მეფის შორის მორიგება მოხდებაო. ხოლო ოფიციოზი ადასტურებს, რომ მათ შორის შეთანხმება შეუძლებელიაო.

### ავსტრია-უნგრეთი

„აგენზია ლიბერა“ სწერს: ვენის მეციხოვნე ჯარი უნგრეთში გაიგზავნა. ავსტრია-უნგრეთის სატახტო ქალაქში დასტოვეს მხოლოდ ჟანდარმერია და პოლიცია. გრაცი, ზალცბურგის, კრაკოვის, პერემიშლის და პრესბურგის მეციხოვნე ჯარები მოწინავე ბრძოლის ველზეა გაყვანილი.

### გერმანეთში.

სამხრეთ გერმანეთის გაზეთი „Sehväbisehe Tagvacht-ში“ სწერს: „სანამ გერმანელების ჯარები პარიზსა და ლონდონში არ შესულან, ანექსიაზე ლაპარაკი უნიადაგოა. რასაც დღევანდლამდე მივაღწიეთ, ეს არარაობაა იმასთან შედარებით, რასაც მომავალში ველით. თუნდა ხმელეთზე ყველა მტრები დავამარცხოთ საკმარისი არ არის ჩვენთვის, თუ ინგლისი ისევ იბატონებს ზღვაზე. მის საზღვაო ბატონობის შემუსვრას მაინც ვერ შევსძლებთ, თუნდაც ომი 30 წელიწადს გაგრძელდეს. ომის გაგრძელება კი განუსაზღვრელ მწუხარებას და განსაცდელს გვიმზადებს“.

### რუმინეთში.

გერმანელების მთავარი ბანაკი იტყობინება: რუმინეთის ასპარეზზე, პეტროშენის სამხრეთით, შურდუკისა და ვულკანის ქედის შუა რუმინელებმა მოსაზღვრე სიმაღლე აიღეს. გერმანელების ჯარს ღამე ებრძვნათ, ეს ქედი მიეტოვებინათ. ავსტრია-უნგრეთის შტაბის ცნობით მათ დაუცლიათ ვულკანიის და შურდუკის ქედები, რადგანაც შეუმჩნევიათ, რომ რუმინელების ჯარი ზურგის მხრიდან მოვლას უპირებდა.

### დობრუჯის ასპარეზი

დობრუჯის ასპარეზზე სამი დღის მკაცრი ბრძოლის შემდეგ რუმინელებმა მოწინააღმდეგეს სამხრეთისაკენ დაახევინეს. ძლიერ დაზიანდა მოწინააღმდეგის მარჯვენა წვერი. აქ ბრძოლა, გაზეთების სიტყვით ყველა ბრძოლაზე სასტიკი იყო.

### დიმიტრიევის აზრი

ინგლისზე ცეპელინების თავდასხმა ახალ საფეხურზე შესდგა. წინად სტრატეგიულ ზვერვას აწარმოებდნენ გერმანელები ცეპელინების დახმარებით, ეხლა უკვე დაიწყეს-მოპირდაპირეს ზურგის მხარეს ზიანი მიაყენონ, დაუნგრიონ დაწესებულებანი, სამხედრო მასალის დამამზადებელი ქარხნები და სხვა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ თავდასხმის დროს ლონდონზე, გერმანელებს ერთს ადგილას დაუღუპეს ორი „ცეპელინი“. ჩანს ეს დიდმნიშვნელოვანი ადგილი ყოფილა და შესაფერად მოწყობილიც, რომ ასეთი მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს „ცეპელინებს“.

# უკანასკნელი დეპეშები

**სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე გერმანელებს 24 დივიზია მაშველი ჯარი მიუყვანიათ. მთლად კოველის რაიონში ჰინდენბურგს 31 დივიზიისთვის მოუყრია თავი. რუმინეთზე გაულაშქრებიათ გერმანელების 3 და ავსტრიელების ც 3 დივიზია. ოსმალოს 4 დივიზია ტრანსილვანიაში იმყოფება.**

—

**პარიზიდან. იტყობინებიან: საბერძნეთის მეფე კონსტანტინეს უთქვამს: მირჩევნია სამეფოს ტახტი დავთმო, ვიდრე ავსტრიასა და გერმანეთს ომი გამოუცხადოვო.**

—

**სამხედრო პირები ირწმუნებიან: მდგომარეობა უცვლელიაო. ჩრდილო-სამხრეთის ფრონტის მთავარ მიმართულებაზე რუსთა ჯარის იერიში გრძელდება. მოწინააღმდეგე ყველგან სასტიკ წინააღმდეგობას უწევს. იმ ალაგას, სადაც რუსები მეტად მკაცრ იერიშით გადადიან, გერმანეთის მთავარი შტაბი განსაკუთრებით გერმანელებისაგან შემდგარ ჯარს უყენებს წინ. ასეთი წესი ემჩნევა ვოლინსა, გალიციასა და კარპატებში. მოწინააღმდეგის მეტი სიცხოველე ვლადიმ.რო-ვოლინის მიდამოებში სწარმოებს, განსაკუთრებით გალიჩთან. მას შემდეგ, რაც რუმინეთმა ომი გამოაცხადა და ჰინდენბურგი მთავრსარდლად აღმოსავლეთის ფრონტზე დაინიშნა, გერმანელებს და ავსტრიელებს აღმოსავლეთის ფრონტზე აუარებელი ჯარი გადმოჰყავთ, მთავარი ყურადღება რუსეთის ფრონტზე აქვთ მიპყრობილი. ჰინდენბურგის აზრით უმჯობესია საფრანგეთში დაპყრობილი ადგილები დასთმონ, ვიდრე ნება მისცენ რუსებმა კოველი, ვლადიმირ-ვოლინი და გალიჩი, ხოლო რუმინელებმა სამხრეთ ტრანსილვანიის ნაწილი დაიპყრონ.**

# ახალი ამბავი

### სასახლეში.

✦ მეფის ნაცვალს სადარბაზოდ წარუდგა ინფანტერიის გენერალი სმაგინი.

✦ **უმაღლესი ჯილდო.** სამოსამართლო უწყების საავადმყოფოს დაარსებისთვის დაჯილდოვებულ იქმნენ წითელ ჯვრით კნ. ბ. მაღალაშვილისა და კნ. ა. ამილახვრისა.

### ქართული დაწესებულებანი

✦ **დეპუტაცია.** ქ. საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა ხევსურთა საკითხის შესახებ მოხსენებით წარუდგეს მეფის ნაცვალს საგანგებო დეპუტაცია.

✦ **ქართველ ტყვეების სასარგებლოდ** ქ. საქველმოქ. გამგეობამ 112 მანეთი 60 კ. მიიღო დონის როსტოვის ქართველთა შორის შეგროვილი.

✦ **ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ** ქართ. საქველმოქ. საზ. გამგეობამ 100 მანათი გაუგზავნა ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის დირექტორს.

✦ **რაბათის სკოლასთან** (ახალც. მაზრა) ჰრა კერვის განყოფილების დასაარსებლად ქ. საქველმოქ. საზ. გამგეობამ 400 მანათი გადასდო.

✦ **ხევსურთა შემწეობა.** ქ. საქველმოქმედო საზ. გამგეობამ კავკასიის დამხმარე კომიტეტს გაუგზავნია სია გაჭირებულ ხევსურთა დახმარების აღმოსაჩენად.

### ქალაქ ს დაწესებულებანი

✦ **ქალაქის საბჭოს** სხდომის ანგარიში უადგილობის გამო ვერ იბეჭდება. ანგარიში ხვალინდელ №-ში დაიბეჭდება.

✦ **ფქვილის კრიზისი** დღითი დღე მწვავდება. შესაძლებელია, რომ სიმშილობა ჩამოვარდეს ქალაქში. ქალაქის გამგეობას დღემდე 9 ვაგონი ეძლეოდა. ამჟამად ქალაქს დღეთმო 14 ვაგონი ბაქოდან ამ კრიზისის ასაცდენად.

✦ **ექიმი მახვილაძე,** მთავარი ექიმი ვაჟთა მეორე გიმნაზიის საავადმყოფოსი, სახადით ავად გახდა.

✦ **ხარფუხის საავადმყოფოს** გამგეთ დაინიშნა ექიმი ტერ-დავიდოვი.

✦ **ხოლერა.** 20 მარიამობისთვეს ხოლერიანთა საავადმყოფოში № 40-ში ირიცხებოდა 99 ხოლერიანი და 7 საეჭვო.

### სასულიერო უწყებაში.

✦ **გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ხსოვნა.** თბ. დედათა ეპარქიალურ სასწავლებლის უფროსმა კნ. ნ. მ. თავდგირიძემ წერილი მიიღო განსვენებულ გრაფ ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის მეუღლისაგან, რომელიც სთხოვს აუწყოს მათ რა სახით შეიძლება მის მეუღლის სახელის უკვდავსაყოფად სასწავლებლის დახმარება.

### კლუბებში.

✦ **ხარფუხის კლუბი.** ოთხშაბათს, 21 ენკენისთვეს, ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება წარმოდგენა, წარმოდგენაზედ შესვლა უფასოა.

### სხვა და სხვა ამბები.

✦ **რესტორან-სასტუმროების საზოგადოების** წევრთა კრებამ, რომელიც ს. მომცელიძის თავმჯდომარეობით შესდგა, მოისმინა წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლის საკითხი. დაამტკიცა ხარჯთ აღრიცხვა მომავალ წლისა ნავარაუდევი შემოსავალი 36,000 მანეთი და გასავალი 2900 მან. დასასრულ აირჩია გამგეობის წევრებად: ს. ნ. ცხარტიშვილი, ნ. გ. სიხარულიძე, დ. ს. მაჭავარიანი და ს. ს. გიგიბერია, ხოლო სარევიზიო კომისიაში მ. ო. ქორიავა, გოგელია და კ. ბ. იოსელიანი, ხოლო მდივნათ ი. რაზმაძე. დასასრულ, შეგროვილ იქმნა 800 მანეთი ამ საზოგადოების საჭიროებისათვის.

✦ **ჯარის კაცთა ოჯახთა** სასარგებლოდ ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს 2 ათას მანეთს.

✦ **ბოსტნეულის გახმობა.** ახალციხის მაზრის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა თბ. გუბერნატორის წინაშე რათა ნება დართოს ახალციხის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გამგეობას მოაწყოს კომბოსტოსი და კართოფილის გახმობა ახალციხის პირველ დაწყებით უმაღლეს ხარისხის სკოლასთან.

✦ **კ. ი. შაშკოვსკი,** საკვებ საქმის მთავარ რწმუნებული, პეტროგრადიდან თბილისს დაბრუნდა.

✦ **საოლქო სასამართლოს** თავმჯდომარე ნ. ა. ტოლპიგო თიანეთს გაემგზავრა.

✦ **ფულის მოგროვება.** დღეს თბ. საქველმოქმედო საზოგადოება ყულაბებით ფულს აგროვებს თბილისის ღარიბთა სასარგებლოდ.

✦ **რუსულ კლუბის** წევრთა საზოგადო კრება დღესაა დანიშნული.

✦ **ქალთა უმაღლეს კურსებზე** დღეს იწყება ლექციების კითხვა საისტორიო და სიტყვიერებ ს განყოფილებაზე. 12 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე დანიშნულია პირველი ლექცია კიევს უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის ა. ბ. ელიხანოვისა. დღესვე დაიწყება მეცადინეობა საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე.

✦ **ტრამვაის მსხვერპლი.** 18 ენკენისთვეს შტაბის ქუჩაზე სასადილო „ეკონომიის“ პირდაპირ თბ. მოქალაქე დავით ჯიბრაილის ძე საკურაშვილი, როცა ტრამვაის ვაგონზე № 11 აპირებდა შეხტომას, ძირს ჩამოვარდა და მობმულ მეორე ვაგონ ქვეშ მოჰყვა და ორთავე ფეხები მოამტვრია, თავი და მარჯვენა ხელიც დაუზიანა.

✦ **შეიპყრეს** 11 პირი პასპორტის უქონლობის გამო.

✦ **ნავთის კრიზისი.** თბილისის ნავთის საწყობების პატრონებმა განუცხადეს ქალაქის გამგეობას, რომ მას შემდეგ, რაც ნავთის რეკვიზიცია მოხდა, ქალაქში ნავთის სყიდვა ნიხრზე მათ არ ძალუძთ, ასე რომ ხთხოვენ ნიხრის აწევას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგინი ვერ გაჰყიდიან ნავთს. ნავთის რაოდენობა კი რაც დღეს საწყობებშია 7 დღის განმავლობაში ძლივს ეყოფა ქალაქსაო.

✦ **მსწავლული ქალი.** პეტროგრადიდან გვატყობინებენ, რომ უნცროსი ქალი ნ. ი. ნიკოლაძისა თამარი, საიმპერატორო საპედაგოგიო ქალთა ინსტიტუტში სწავლის დამთავრების შემდეგ ამავე ინსტიტუტში დაუტოვებიათ ფიზიოლოგიის კათედრაზე ასისტენტად (ლაბორანტათ). მეორე ქალი ბ-ნ ნიკოლაძისავე, რუსუდანი, ამავე ინსტიტუტში ირიცხება ლაბორანტათ ქიმიის კათედრაზე სახელგანთქმულ მსწავლულ ვ. ნ. იპატიევთან.

✦ **სამხატვრო აკადემიამ** განუმარტა თბ. სამხატვრო და საქანდაკო სკოლის გამგეობას, რომ სკოლას ეძლევა ის უფლება, რომ მიუსაჯოს ხატვის მასწავლებლობა ქალაქის უმაღლეს სკოლებისა და დაბალ სასწავლებლებისათვის.

### ქუთაისი.

✦ **ბაზარზე ამ უკანასკნელ დროს** იმდენი ყურძენი აღარ შემოაქვთ, რამდენიც მაგ. წასულ წლებში. როგორც სოფლელები ამბობენ, ყურძენის შემოტანა შესწყდება ვინაიდან თვით აყენებენ ღვინოს და ბაზარზე არ გამოაქვთო.

### ხულო-აჭარა.

ქალაქთა კავშირის საავათმოფოს, როგორც იქნა აღირსეს ქართველი ექიმი ბ-ნი არსენ ვადაჭკორია, რომელიც უკვე შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას. ბ-ნი ვადაჭკორია დიდი ენერგიის ახალგაზრდაა. ჯარის კაცობაში ფერშლობა შეისწავლა, რამოდენიმე წლის პრაქტიკის შემდეგ იურიევის უნივერსიტეტში შევიდა და წელს საექიმო ფაკულტეტი უკვე დაასრულა. მას კარგად ეხერხება უბრალო ხალხთან დაახლოება, შეუძლია სოფლებში ფეხით და ცხენით სიარული და სრული იმედია აჭარელთა სიყვარულს დაიმსახურებს.

ამავე საავადმყოფოდან გადაიყვანეს აჭარელთა საყვარელი ბებია ქალი ქ-ნი პელაგია შარაშენიძე, რაიცა სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ საბედნიეროდ მის ნაცვლად დანიშნეს ქართველი ქალი ნინა ხეჩინოვი, რომელიც იმედია კეთილ სინდისიერად მოეკიდება თავის მოვალეობის ასრულებას.

— ზემო აჭარის არც ერთ სკოლაში ჯერ სწავლა არ დაწყებულა, არც მასწავლებლები მოსულან.

**დ. ხარაგოული** (ზემო იმერეთი).

აქ 8 ენკენისთვეს ქ-ნ ანეტა ვეფხვაძის თაოსნობით დადგმულ იქმნა მუსიკალური კონცერტი. პირველად აქაურმა სკოლის მოწაფეებმა შეასრულეს საბავშო პიესა: „ბაბუას ხაფანგი“ რომელიც კარგად შეასრულეს. სკოლის მოწაფეებმა იგალობეს ბ. კავსაძის ლოტბარობით რამოდენიმე ქართული სიმღერები. თვით ბ. კავსაძემ იგალობა „ურმული, და სხვა მრავალი მისმა ხორომ საუცხოოდ იმღერა. [...] მოვნები [...]

**ხონი.**

— თითო რვეული იყიდება ... ორ შაურათ, მაგრამ რვეული ძლიერ დაბალი ხარისხისაა, რაც დიდათ ხელს უშლის მოსწავლეებს წერის დროს.

— ფუთი სიმინდი იყიდება 2 მან. ფქვილი 2 მან. 20 კაპ.

— ყველი, კვერცხი, სულგუნი და ქათამი, რომლიც სოფლელებს შემოჰქონდათ, ძლიერ ცოტა შემოდის და რაც შემოდის იმასაც ცეცხლის ფასათ ყიდიან.

**დ. ძირულა** (შორაპნის მაზრა)

— მახლობელ სოფლებში წელს ღვინის მოსავალს ცუდი პირი უჩანს.

— აქაური ქარხნის მუშები, რიცხვით 300 კაცი, სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლეს.

— აქ ამ დღეებში ჩამობრძანდა სამხრეთის ფრონტიდან უმცროსი ერთ ერთი ფრონტის ჯარისა გენერალ ლეიტენანტი ვაციუხოვსკი. მას ხალხმა დახმარება სთხოვა სამოქალაქო სკოლის დაარსებისთვის დაბა ძირულაში იმანაც აღუთქვა დახმარება გენერალ ვაციუხოვსკის აქ საკუთარი ქარხანა აქვს.

— ინჟინერ ბ. კაბალოვის მუშებს და მის ნოქარ ე. ებანოიძის მუშებს შორის დიდი უთანხმოება არის, რომელიც ხშირად ხელ-ჩართულ ჩხუბზე დაც გადადის ხოლმე. თურმე ბ. ებანოიძე ინჟინრისაგან ღებულობს ფულს და მუშებს არ აძლევს.

**ბოდბე** (სიღ. მაზრა)

ენკენისთვის 8-ში ბოდბეში იყო ღვთის მშობლის დღესასწაული, სადაც მანდილოსანთ და წერილმან გოგო-ბიჭებს მოეყარათ თავი. კვლავინდებურათ დედაკაცებს არ ელხინებოდათ და მხოლოდ სავედრებლად იყვნენ მოსულნი, რო შვილები გადაურჩეთ ომში. უხვადაც ანთებდნენ სანთლებს, რათა ესმინა ლოცვა-ვედრება მათი უფალს. მწირველი იყო მამა ქიტიაშვილი, მაგრამ ჰოი საკვირველებავ, წირვა რუსულად შეასრულა, რომლის გამო ხალხი უკმაყოფილებას აცხადებდა; რისთვის და ვისთვის დასჭირდა ქიტიაშვილს რუსულად შესრულებინა წირვა, მაშინ როდესაც მთავრობის მოხელეც იქ არავინ იყო? აი ასე უმტკივცებენ სარწმუნოებას ახლანდელი ღვდლები ხალხს. ა. ნაცვლიშვილისა.

**ს. მალარო.**

ტყუილად კი არ სთქვა პოეტ. გრ. ორბელიანმა საქართველოზედ: ერი გულადი, პურადი მებრძოლი შავბედისაო; მართლა და ასეთი გულადობით უხვედებიან ქართველი ხალხი ამ უმაგალითო ომისკენ გამოწვეულ უბედურებას. გაკრიფეს ქვეყნის მარჩენელი ვაჟკაცები, ზოგ სახლიდან სამი და ოთხი არის წაყვანილი, დღითი დღე ცარიელდება სოფლები. 7 თვეს გაწვეულ ჯარის კაცთა გამო უფრო საშინელი დაღი დაესვა სოფელს. მგონი შაშაის დრისაც არ იყო ასე უმამაკაცოთ დარჩენილი სოფელი, როგორც დღეს არის. დარჩა დედაკაცები სინაბარ მკვდარი და ცოცხალი, საფლავის კარამდინაც დედაკაცებმა მიასვენეს მიცვალებული, მაგრამ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“ გამწარებული სულის კვეთებისა არ მესმის, გარდა საბრალო მშობლების მდუღარე ცრემლებისა, მხოლოდ თავის კერაზედ.

# ერობა ჩვენში

## კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში

(14 ენკენისთვის კრება)

### ბ. რუევსკის მოხსენების გამო გამართულ კამათის დაბოლოება

**კნ. ტ. აბაშიძე:** ბატონებო! მე მსურს ჩემი სიტყვა დავიწყო ერთ უკანასკნელ ორატორის შენიშვნის გამო, არა იმიტომ, რომ ბ. შახატუნის სიტყვა ერთი უკანასკნელთაგანი იყო, არამედ იმიტომ, რომ იგი შეეხო ერთ ფრიად მწვავე საკითხს, რომელსაც „საერობო თათბირთანა“ აქვს კავშირი. მოგეხსენებათ, რა აყალ-მაყალი ასტეხა რუსულმა პროგრესსიულმა ჟურნალ-გაზეთობამ ამ „საერობო თათბირის“ გამო, რა ცილი დაგვწამა, რა ანგარიშები არ წარმოგვიდგინა. ბ. შახატუნი იმეორებს მასვე და ჩვენ „საერობო თათბირის“ უმრავლესობას თავზე გვახვევს ვითომ ჩვენ ვიღაცას ველაქუცებოდეთ, ვიღაცას ფეხ ქვეშ ვეგებოდეთ.

როგორც ერთმა შვილმა ქართველი ერისამ მე აქ საჯაროდ უნდა განვაცხადო, რომ არავისთან სალაქუცო და ფეხ ქვეშ გასაგები არა გვაქვს-რა და რომ არავის არ შეუძლიან ჩვენი რამე ანგარიშები წარმოგვიდგინოს. თუ ანგარიშებზე მიდგება საქმე, ჩვენ უფრო საბუთიანი ანგარიშები გვაქვს წარსადგენი. ქართველმა ერმა სისხლით დაუმტკიცა თავისი მეგობრული კავშირი რუსეთის პროგრესსიულ ნაწილს. ქართველი ერი თავის ერთგულებას და მტკიცე ლოიალიზმს რუსეთის წინაშე ბრძოლის ველზე სისხლით ამტკიცებდა და დღესაც ამტკიცებს თავის საუკეთესო შვილთა შემწეობით.

როცა ამის შემდეგ გამომდგარა რუსეთის პროგრესსიული საზოგადოება...

და გვისაყვედურებს, ვითომ ზურგში მახვილი დავეცით, ჩვენ აღარა გვესმის-რა.

არა, ბატონებო, ქართველ ერს როდი სჩვევია ვისიმე ზურგში მახვილის დაცემა არა თუ მოყვარეებისთვის, არც მტრებისთვის (მხურვალე ტაშის ცემა). რა დავაშავეთ, ეგრედ წოდებულმა „საერობო თათბირის“ „უმრავლესობამ“ მიიღო რა მხედველობაში დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობა ხალხისა, როცა საერობო ძალთა სასწრაფო ორგანიზაცია მიუცილებელია, განაცხადა მოგვეცით ეხლავე ის ტიპი ერობისა, რომელიც რუსეთში სწარმოებსო. აქ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ—არ იყო ერთი კაცი საერობო თათბირის „უმრავლესობაში“, რომელსაც 1890 წლის ერობისადმი თავის უარმყოფითი განწყობილება არ განეცხადებინოს, თავისი მხრით ეს ერობა არ დაეგმოს—მაგრამ ტაქტიკურის მოსაზრებით დღეს-დღეობით მისაღებად მიიჩნია ეს ტიპი ერობისა, თუ ეგ ეგრე არ ყოფილიყო, თუ იქ ვინმე ყოფილიყო პრინციპიალური მომხრე და თაყვანისმცემელი 1890 წლის ერობისა, როგორღა შეიძლებოდა საერობო სათათბიროს ერთხმად დაედგინა, რომ ყოველივე გაუმჯობესობა 1890 წლის ერობაში უნდა თავისთავად, ავტომატიურად ამიერ-კავკასიის ერობასაც შეეხებოდეს.

„უმრავლესობის“ საწადელი იყო, რაც შეიძლებოდა მალე ერობის შემოღება. 1905 წელში ჩვენ ისეთი რადიკალური ერობის პროექტი შევადგინეთ, რომ არსად დედამიწის ზურგზე ისეთი რადიკალური ტიპის ერობა არ არის, მაგრამ ეს ჩვენში ერობის შემოღებისათვის ხაფანგი—მახე შეიქმნა. მე, თქვენს უმორჩილეს მონას და არა მარტო მე, არამედ ჩვენ დეპუტატებს და ბევრს სხვას, გაუგონია რუსეთის თითქმის ყველა ჯგუფის საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთაგან: ის ერობა, რომელიც ჩვენშია, მიიღეთ, ხოლო თქვენი რესპუბლიკანური ერობის მოცემა ჩვენ არ შეგვიძლიაო! ჩვენ მიერ 1890 წლ. ერობის მოთხოვნა ერთგვარ პოლიტიკურ პროტესტად უნდა მიიღოთ, უნდა გაეგოთ ჩვენი თქმა: თქვენგან დაწუნებული ერობა მაინც მოგვეცითო. ეხლა სამაგიეროდ საყვედურებით გვიმასპინძლდებიან და გვეუბნებიან: შესაძლოა უფრო დემოკრატიული და ლიბერალური ტიპის ერობის შემოღებაო! მადლობელი ვართ, მაგრამ სად არის გარანტია ამისი? შეუძლია თუ არა პატივცემულ პროგრესიულ დეპუტატს სახელმწიფო სათათბიროსას, ვლ. ალ. რჟევსკის, მოგვცეს იმის გარანტია, რომ ასეთი ერობის განხორციელება შესაძლებელია დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიურ კონიუნქტურის დროს? მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ფრთა სათათბიროისა, რომელსაც ეკუთვნის თვით დეპუტატი რჟევსკი, ამის წინააღმდეგი არ წავა, მაგრამ მარჯვენა ფრთა სათათბიროისა როგორ მოიქცევა—ამის თქმა არავის შეუძლია. მათი პოლიტიკური სიმტკიცე ძალიან საეჭვოა, იგი ყოველთვის რყევაშია და ყოველთვის დამოკიდებულია სხვა და სხვა იდუმალ და ცხად კომბინაციებზე, რომლის წინასწარ აწონ-დაწონვა არავის შეუძლია.

მაგრამ ვსთქვათ, რომ სათათბიროში კიდევაც გავიდა ეს პროექტი—რაღას უპირებთ სახელმწიფო საბჭოს, ამ ცნობილ მესაფლავეს ყოველივე პროექტისას, რომელიც მთავრობას არ მოეწონება და მთავრობას ხომ კულზე არ ახატია ამიერ კავკასიის ერობა (ტაშის ცემა). ეს სათათბირო არ იყო 1912 ში არხანგელის გუბერნიის ერობა დაასამარა—თავად აზნაურთა ელემენტი დაჩაგრულიაო. და არხანგელში არც კი არსებობს თ. აზნაურობა, ასე რომ, ჯერ ეს წოდება უნდა შექმნილიყო—უთუოდ ასეთი იყო აზრი საბჭოს ბრძენთა—და მერე უნდა შემოეღოთ ერობა. ამას თავი დავანებოთ. ამ რამდენიმე დღის წინად თითქმის ყველა თქვენგანს ექნება წაკითხული ჩვენში გავრცელებულ გაზ. „რუსკ. ვედ“.-ის ცნობა იმის შესახებ, რომ სათათბიროს მიერ შემუშავებული პროექტი ციმბირის ერობისა, საბჭომ გადაამახინჯა მთლად ერიანად და ისეთი ცვლილებები შეიტანა, რომ 1890 წლის ერობაზედ უარესი გამოდგა. ტყუილად კი არ ამბობდა აქ საერობო თათბირზე ბ. ნევეროვი, შინაგან საქმეთა მინისტროს წარმომადგენელი, დიდ სათათბიროს უმცირესობას დიდად [illegible]—რას ჩასციებიხართ ამ 1890 წლის ერობასო. არის სხვა ტიპები ერობისა ფრიად გამოსადეგი კავკასიისათვის და 1903 წლის ერობისმაგვარი [illegible]ებოდა.

პატივცემულმა დეპუტატმა ვ. ალ. რჟევსკიმ სრულიად სამართლიანად აღნიშნა, რომ ამიერ კავკასიაში არსებობს ანტაგონიზმი ეროვნებათა შორის, მაგრამ თანაც სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ამ ანტაგონიზმით ისეთი ახსნა, რომელიც მან აქ წარმოადგინა. ჩვეულებრივი ტრაფარეტი ერთგვარი შაბლონია რუსის ლიბერალურ პრესსის მიერ აჩემებული, რომ ქართველ-სომეხთა ურთიერთობის გამწვავება ეკონომიურ ნიადაგზე ხდება, რომ ქართველი ერი იმის თქმას ვეღარ კისრულობს, რომ კულტურულად დაქვეითებულია—ვინაიდან ამის თქმა სახიფათო იქნებოდა—მაგრამ სამაგიეროდ გვარწმუნებენ, რომ ქართველი ერი მეურნე ერია და ეკონომიურად ჩამორჩენილი და პროგრესიულ წინ წასულ ეკონომიურად გაღონიერებულ სომხის ვაჭარ და მრეწველ ერს ებრძვის სწორედ ამ ეკონომიური სხვა და სხვაობის ნიადაგზეა: ვსთქვათ, ეს ასეა, ვსთქვათ, მართლაც, ეკონომიური მიზეზია აქ და სხვა არა-რა, მერე ამ ნიადაგზე აღმოცენებული ანტაგონიზმი აბუჩად ასაგდებია?! გაითვალისწინეთ დღევანდელი ქარ-ცეცხლი, განა ეკონომიურ მიზეზებს აქ ცოტა ადგილი უკავია, განა რუსეთი იმიტომ ებრძვის გერმანიას, რომ გერმანია უფრო სუსტია ეკონომიურად რუსეთზე? წინააღმდეგ—სწორედ იმიტომ ებრძვის რუსეთი გერმანიას, რომ ეკონომიურად დაჩაგრულია და უნდა მისი კლანჭებიდან გაინთავისუფლოს თავი (ტაშის ცემა)... მაგრამ კავკასიის ერთა შორის ანტაგონიზმს უფრო ღრმა საფუძველი აქვს. საქმე იმაში გახლავსთ, რომ რუსეთის ბიუროკრატია აწარმოებს განაპირა ქვეყნებში დახავსებულსა და გარყვნილ პოლიტიკას, რომელიც რომის იმპერიაში არსებობდა და რომელიც გამოიხატებოდა ორი სხარტული სიტყვით divide et impera. გინდით კავკასიის ერთა შორის არ იყოს შული და უთანხმოება, დაიხსენით, ბატონებო, რომელიმე ერის პრივილეგიებით აღჭურვას (ტაშის ცემა). რუსეთის ბიუროკრატიას კი ასი წლის განმავლობაში ჰყავდა ასე ამოჩემებული ერი და შემცდარი იქნება თუ ვინმე იფიქრებს, რომ ეს ამოჩემება ამ ერის სასარგებლოდ იყო ნაწარმოები. სრულებითაც არა! ის თავის მიზანს ანხორციელებდა და კიდევაც განახორციელა. კავკასიის ერთა შორის ეს შული, ეს ანტაგონიზმი არსებობს და როდესაც ჩვენ 1890 წ. ერობას ვეღაღუნებით, ასეა თუ ისე ყოველივე თავის დეფექტებს გარეშე, ეს ერობა კავკასიის ერთა ეროვნულ ინტერესებს არა სჩაგრავს, ჩვენ გვსურს საქართველოს ერობაში ქართველი ერი იყოს პატრონი, ვინაიდან ეს მას ეკუთვნის ყოველგვარი კანონს და სამართლიანობის მიხედვით. ვერავინ ვერ შემწამებს თავად აზნაურობის მომხრეობას, მე არა მარტო თეორიულად, პრაქტიკულადაც ვებრძვი რეაქციონურ ნაწილს თავად-აზნაურობისას. მაგრამ ჩემის ერის ინტერესი მოითხოვს მას, რომ თუ არჩევანი მიდგა, უცხოელი პლუტოკრატიის ბატონობას ერობაში გვირჩევნია ჩვენი ცუდი არისტოკრატიის ბატონობა. ამისათვის ნურავინ დაგვძრახავს.

თქვენ კი გვაწვდით პროექტს, სადაც გნებავთ თავზე წამოგვსხათ უცხო ერის პლუტოკრატია—ამიტომ ვე კიდევებით ამ პროექტებს, ჩვენთვის უცხონობს, სრულის უარყოფით. ჩემ სიტყვას იმით ვათავებ რომ, პროგრესიულ რუსეთს ჩვენ შიან სასაყვედურო არა აქვს რა. ჩვენ ჩვენს იმედებს ვამყარებთ სწორედ რუსეთის დემოკრატიულ ნაწილზედ და მათთან ერთად შეკავშირებულს გვაქვს იმედი ჩვენი უფრო უმაღლესი ეროვნული იდეალი განვახორციელოთ. ჩვენ ყოველთვის მხარს დავუჭერთ მას, ვეცდებით გავაღონიეროთ და როცა მის ხელში იქნება ძალა და უფლება მოვითხოვთ თვით ჩვენის უსაყვარლესის საჭიროების განხორციელებას. იგი იძულებული იქნება აღასრულოს ეს, თუ კი სურს სიმტკიცე რუსეთისა და აყვავება განაპირა ქვეყნებისა, რომლის რკალივით აქვს შემორტყმული რუსეთს (ხანგრძლივი და მხურვალე ტაშის ცემა).

სპ. კედია მე არსებითად არ შევეხები საკითხს, მეტად მიმაჩნია. იგი გაცილებით უკეთესს პირობებში გაირჩა წარსულ საერობო თათბირზე, სადაც წარდგენილი იყო დიდძალი ფაქტიური მასალა, გულდასმით დამუშავებული და შესწავლილი თათბირის მონაწილეთაგან, რომელნიც შემდეგში ორ მოპირდაპირე ბანაკად გაიყვნენ, სომეხთა უმცირესობად და ქართველ-რუსთათართა დიდ უმრავლესობად. დღევანდელ საკამათო პირობებში კი ეს საკითხი მოკლებულია ამგვარ უპირატესობას. და აი ყველა ამ მასალის გაცნობისა და პირადი ინტერესის მიხედვით მისი აწონ-დაწონის შემდეგ, კავკასიის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა მივიდა უკვე ცნობილ დასკვნამდე. თუ გარეშე პირისთვის ეს მასალები დამარწმუნებელი არ არის იმ სახით, რა სახითაც იგი უმრავლესობისათვის იყო, ეს იმას ნიშნავს, რომ ძნელი და შეუძლებელია სხვამ სხვისი გაიგოს. არა-ქართველი ვერ ჩასწვდება იმ პსიხოლოგიურ მოტივებს, რომელთაც ინებეს, წარდგენილი მასალის მიხედვით, საკითხი სწორედ ისე გადაჭრილიყო, როგორადაც გადაიჭრა. ბ-ნ მომხსენებელსაც ჰხამს მოიკრიფოს მიხვედრილობის ენერგია და განსჭვრიტოს ფსიხოლოგიური საიდუმლონი კავკასიის თათბირის წევრთა უმრავლესობისა და მაშინ, მრწამს, ისიც უმრავლესობის ერობას მიემხრობა. კერძოდ ქართველისთვის ერთი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ მან იცის, თუ რა მოუხდება და რა უფრო საშურია ძალთა განწყობილების იმ პირობებში, რომელიც დღეს დამყარდა მის სამშობლოს საზღვრებში. რომ ეს სავსებით გაიგოთ, უნდა ქართველი ბრძანდებოდეთ. მეორე საიდუმლო ის გახლავთ, რომ ქართველი ამ ერთ საუკუნეში გამოიცადა და დარწმუნდა, რომ იგი რუსეთის მოძულებული გერია და რომ ტყუილი თავის შეწუხება იქნება რაც მისთვის სანატრელია იმას წაპოტინოს, მაშინ როდესაც მთელი 50 წლის განმავლობაში მისთვის არსებული უვარგისს ერობაც არ გაიმეტეს. ესეც რომ უკლებლივ გაიგოთ, უნდა ჩაგრული ქართველი ბრძანდებოდეთ და არა ბატონი-ერის შვილი!

ასეა, თუ ისე, ქვეყნის უმრავლესობამ თავისი სიტყვა სთქვა. იცის, რასაც ამბობს და რისთვისაც ამბობს და ეს საკმარისი უნდა იყოს, ვისთვისაც მისი აზრი ძვირფასი და საჭირო იყო. ეხლა პროგრესიული და ლიბერალი რუსეთის სინიდისზე ჰკიდია, გაუწევს ამას ანგარიშს თუ არა. დავგვანახეთ, თუ რამდენათ სჩვევია და რამდენათ მოსდგამს პროგრესიულ რუსეთს ქვეყნის უმრავლესობის აზრის შეწყნარება და პატივისცემა.

სალაპარაკოდ უფრო იმიტომ გამოვედი, რომ ჩემი სურვილია, თუ ეს შევძელი, ბ-ნ მომხსენებელს თან არ გავატანო ერთი ყალბი აზრი, რომელიც მას შეუდგენია ქართველ-სომეხთა გამწვავებული დამოკიდებულების შესახებ. მომხსენებლის აზრით ქართველ-სომეხთა ანტაგონიზმი ეკონომიურს ნიადაგზეა აღმოცენებული და მხოლოდ კლასიური ხასიათი აქვს. მისი აზრით აქ ერთმანეთს ეჯიბრება ერთის მხრით ქართველი თავად-აზნაურობის ეკონომიური ინტერესი და მეორეს მხრით სომხის ბურჟუაზიისა და სხვა არაფერი. ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ეს აზრი, რომლის ექსპლოატაციას დიდიხანია ეწევიან სხვა და სხვა იაფ-ფასიან გამოცემაში და რომელიც დღეს თქვენც გამოსთქვით, სრულიად შემცდარი გახლავთ. მიზეზი უწყებული ანტაგონიზმისა უფრო ღრმაა. იგი ეკონომიურ ინტერესებზე გაცილებით უფრო შორს მიდის, იგი **ეროვნულია**.

მართლაც, საქართველოში შემოსვლის დროს ყოველ სომეხს თან მოაქვს თავისი ეროვნული სახე, რომელიც მრავალ საუკუნეს ჩამოუქნია და შეუმტკიცებია. სომხის ბუნებაში ორგანიულად არის ჩაშენებული სომხური მოდგმა, სული, კულტურა; მოკლედ რომ ვსთქვათ, სომხეთის მთელი ეროვნული წარსული, რომლის განგრძობა და განმტკიცება მას ევალება, მთელის გარდუვალი ეროვნული ჩამომავლობის კანონით. სომეხს უყვარს თვისი ეროვნების ყოველი ატრიბუტი. იგი ვერც ერთზე ხელს ვერ აიღებს და არც უნდა აიღოს. პირიქით მისი დანიშნულება ის არის, რომ ყველა ეს განამტკიცოს და განავითაროს. აი ასეთი წარსულით და ასეთი სავალდებულო მომავლით შემოდის იგი საქართველოში. მაგრამ ეს ეროვნული სწრაფვა სდუმს, ვიდრე შემოსული სომეხი ლუკმა პურის შოვნას უნდება. მაგრამ ღრმად ჩაესობა თუ არა საქართველოს დედამიწაში, მოღონიერდება თუ არა ეკონომიურად, იგი თავის ეროვნულ საქმეს იწყებს. სომეხი აწარმოებს საქართველოს შუაგულში სომხურ პოლიტიკას, რომელიც ვერც ერთ შემთხვევაში ქართული პოლიტიკა ვერ იქნება; იგი განამტკიცებს სომხურ კულტურას საქართველოს საზღვრებში, რომელიც ვერც ერთ შემთხვევაში ქართულ კულტურის განმტკიცება ვერ იქნება! იგი ფრთას აშლევინებს თავის ეროვნულ ზრახვებს, რომელიც ყოველ შემთხვევაში ქართული ზრახვა არ არის. როდესაც საქართველოს მიწა-წყალზე სომხობა თავის ეროვნულ თვითგამოთქმას და თვით მოქმედებას აწარმოებს, იგი ზღუდავს საქართველოს უზენაესი პატრონის ეროვნულ გასაქანს. სომხობა ხდება ქართველების ეროვნული გაზდისა და თავისუფალი შემოქმედების შემზღუდველ ფაქტორად. სომხის ეკონომიური გაძლიერება, ქართველის ეკონომიურ გაძლიერებას არ მოასწავებს. ყოველი ნაჭერი მიწა, რომელზედაც სომხის სხეული აღიმართება და გაიშლება, დაკარგულია საქართველოსთვის; მას ვერ დაეკარება ქართველის სამეურნეო ეკონომიური კულტურა; იქ ქართველის ფიზიკას ადგილი არ აქვს, მაშასადამე, იქ ვერც ქართული სულიერი კულტურა პოებს ასპარეზს, რადგან **ადგილი უკვე დაჭერილია**. სომხობა იძენს, ქართველობა ჰკარგავს. სომხობა საქართველოში სამშობლოს იძენს. ქართველობა კიდევ თავისას ჰკარგავს. აქ არის ბრძოლა ორის მრავალ ათასწლოვან ეროვნული სახისა და ჟინისა. აქ სომხის მთელი ეროვნული შინაარსი ეჯახება ქართველის მთელ ეროვნულ შინაარსს. პირველია თავდამსხმელი, მეორე მომგერიებელი, პირველია მომხდური, მეორე დამხდური. პირველი ახალის შეძენას ლამობს, მეორე თავის საკუთარის შენარჩუნებას ცდილობს. აქ ორი ეროვნული მსოფლიო იბრძვის. ან ერთმა უნდა აიღოს ხელი თავის ზრახვებზე ან მეორემ. თუ არა და ტყუილია!

ეს ბრძოლა მუდამ იარსებებს. რაც დრო გავა, იგი უფრო მწვავე და მკაცრი იქნება (ტაში).

**ქ. საგარძა-პოხერბსკაია** (ექიმი ქალი) ქალთა უფლებათა აღიარებას ითხოვს საერობო დაწესებულებაში.

**თ-დი დ. ა. გურამიშვილი** საჭიროდ სცნობს რამდენიმე სასარგებლო ცნობა მიაწოდოს ბ. რჟევსკის, რომელიც, თავისავე სიტყვით, ჩვენში უცხო კაცია, ადგილობრივ პირობების ნაკლებ მცოდნე.

30 წელიწადია, რაც ადგილობრივმა თავად-აზნაურობამ მოითხოვა ერობის შემოღება ჩვენში (**ხმები**: „50 წელიწადია, „ნახევარ საუკუნეა). მაშინ გვიპასუხეს: **„ჯერ არ მომწიფებულხართო“**.

ასეთივე ბედი ეწია სხვა ჩვენს თხოვნასა და შუამდგომლობას.

ვითხოვეთ სკოლებში ქართულ ენის სწავლება.

გვიპასუხეს: სამშობლო ენა სრულებით საჭირო არ არის თქვენთვის, უმისოდაც ჩინებულად იცხოვრებთო.

ვითხოვეთ ნება მოეცათ ჩვენებურად ლოცვისა, ისევე, როგორც მეოთხე საუკუნის აქეთ ვლოცულობდით.

გვიპასუხეს: ესეც ზედმეტია, უამისოდაც იოლად წახვალთო.

ვითხოვეთ ერთი მტკაველი მიწა მაინც მიეცათ უმიწაწყლო, დამშეულ გლეხობისათვის.

პასუხის მაგიერ ჩვენის მამა-პაპის სისხლითა და ოფლითა მორწყული მამული ვიურტემბერგიდან და შვარცვალდიდან გამოსულთ დაურიგეს. ფულიც მისცეს, რომ ადგილობრივ მკვიდრთან ბრძოლაში უფრო გაემარჯვნათ...

ასეთი იყო დღემდე ჩვენის ცხოვრების პირობები, მაგრამ დადგა 1914 და შემდეგ 1916 წელი. ბედი გვეწია: მეფის ნაცვლად კავკასიაში დაინიშნა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, რომელმაც ჩვენში ჩამოსვლისთანავე ერობის შემოღება განიზრახა და დარწმუნდა, რომ საერობო რეფორმებისათვის ჩვენ საკმარისად მომწიფდით.

დაგვიბარეს და გვკითხეს: რანაირი ერობა გინდათო?

წარსულის მწარე გაკვეთილები კარგად გვახსოვდა...

კისერი მოვიფხანეთ და შევღაღადეთ:—მოგვეცით ის, რაც თქვენა გაქვთ, ის საერობო კანონი, რომელიც შიდა გუბერნიებში არსებობს—1890 წლის საერობო დებულება... სხვა ჩვენ არა გვინდა-რა...

რა იყო აქ საკვირველი და გაუგებარი?

ჩვენ მოვითხოვეთ ის, რამაც იმდენი სიკეთე მოუტანა შიდა გუბერნიებს, რამაც სრულიად გარდაქმნა ბატონყმური რუსეთი და მისი კულტურა წინ წასწია, აამაღლა...

მაგრამ ვთქვით თუ არა ესა, საოცარი, ძნელი წარმოსადგენი რამ მოხდა.. ჩვენ წინააღმდეგ რუსეთის პროგრესიული პარტიები და მოწინავე პრესა ამხედრდა... გვეუბნებიან: რაში გინდათ 1890 წლის კანონი? ის არას გარგებთ, მან უკვე თავისი დრო მოსჭამა, დახავსდა, ასეთ ერობისთვის თქვენ **ზედ-მეტად მომწიფდითო** (ტაში)...

მოდით და გაიგეთ რამე...

მარჯვნივ გვეუბნებიან: ჯერ არ მომწიფებულხართო, მარცხნივ—მწიფეზე უფრო მწიფენი ხართო (ერთსულოვანი ხარხარი, ძლიერი და ხანგრძლივი ტაში).

მაშ სად წავიდეთ? ვისგან მივიღოთ ერობა? რა რიგ გამოვძვრეთ საერობო მახიდან?

ვლადიმერ ალექსის ძევ,—მიჰმართავს ორატორი ბ. რჟევსკის—თქვენა ბრძანეთ, რომ კავკასიის ზოგიერთი ადგილები მოიარეთ. არ ვიცი, სადა ბრძანდებოდით, რომელ კუთხეს ესტუმრეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სოფელი არ გინახავთ (სიცილი, ტაში). იქ რომ მიბრძანებულიყავით, თქვენის თვალითა ნახავდით, რომ სოფელს ერობა აუცილებლადა სჭირია, რომ ის იმ მდგომარეობამდე მივიდა, რომლის იქით აღარსად გადისვლება... სოფელს მოცდა აღარ შეუძლიან, იგი უფსკრულის პირზეა მიგდებული, მისი მდგომარეობის საშინელება ძნელი წარმოსადგენია განსაკუთრებით დღეს, როცა სოფელი ქალების, მოხუცების და ბალღების ანაბარა რჩება... ამიტომ დიდის თხოვნითა გთხოვთ, დიდის ვედრებით გევედრებით: მოგვეცით ამ თავით ის, რაც თქვენ თვითონა გაქვთ! დეე 1890 წლის კანონი დაძველებული იყოს, მაგრამ რუსეთი ხომ სწორედ ამ კანონის წყალობით დაწინაურდა ეროვნულ-კულტურულად, ღონე მოიკრიბა, ეკონომიურად გაძლიერდა. ჩვენც მოგვეცით საშუალება იმავე გზით ვიაროთ.

თქვენ გვირჩევთ ახალი ერობა ვითხოვოთ, მაგრამ სად არის იგი? როდის გვღირსებენ? ვაი თუ ახალს გამოვეკიდოთ და ამ დევნაში არა ერთხელ და ორჯერ შევიკრიბნეთ ერთად—იქნებ ამავ დარბაზშიაც—და კვლავ ლაპარაკი გვქონდეს ერობის შემოღებაზე ლაპარაკი და ერობა-კი არსად იყოს!! (ძლიერი ტაში).

ორატორთა სია დამთავრებულია. უკანასკნელი სიტყვა მიეცა მომხსენებელს.

**ვ. ა. რჟევსკი** უსაყვედურებს მოლაპარაკეებს, რომ მას, მომხსენებელს ბევრი ისეთი რამ მიაწერეს, რაც მას არ უთქვამს.

— თქვენა გთხოვთ მოგვეცით ისეთი ერობა, როგორიც თქვენა გაქვთო, მაგრამ ამასთანავე გავიწყდებათ, რომ მე არაფრის მოცემა არ შემიძლიან (სიცილი), სათხოვრით სახელმწიფო სათათბიროს უნდა მიჰმართოთ. სათათბირო-კი, რა თქმა უნდა, უარს გეტყვით 1890 წლის საერობო კანონის თქვენში შემოღებაზე: აბა რა ნაირად უნდა შემოვიღოთ ამიერ-კავკასიაში ის, რაც უკვე უარვყავით მთელის რუსეთისათვის?! (ხმები: „სიტყვით უარჰყავით“ „ხომ ისევ არსებობს“). არ დავმალავ, იქნებ ახალი პროექტი ერობისა სახელმწიფო საბჭოში გაიჩხიროს, მაგრამ ეს მარტო დღევანდელ პირობებზე ითქმის, ხვალ-კი, ვინ იცის, რა იქნება. განხორციელდება თუ არა ახალი პროექტი ეს დამოკიდებულია საზოგადო კონიუნქტურაზე, იმაზე, თუ როგორ ვიბრძოლებთ პროექტის განსახორციელებლად.

თქვენ გიკვირთ, რათ აგიმხედრდათ რუსეთის მოწინააღმდეგე საზოგადოება, როცა თქვენ 1890 წლის ერობა მოითხოვეთ, იმიტომ რომ ამით **ჩვენ** შეგვიშალეთ ხელი, შეაფერხეთ ჩვენი ბრძოლა უკეთეს ერობის განხორციელებლად... მე არავის არაფერში არ ვამტყუნებ... აპრილ-მაისის საერობო თათბირმა, რომელმაც 1890 წლის საერობო დებულება მოითხოვა კავკასიისათვის, რა თქმა უნდა არ იცოდა, რა ხდებოდა იმ დროს რუსეთში, მაგრამ ჩვენ მაინც ხელი შეგვიშალეთ...

ყოველ შემთხვევაში მე ვერას გზით ვერ გამოვალ სახელმწიფო სათათბიროში 1890 წლის საერობო დებულების დამცველად კავკასიისათვის და უნდა გითხრათ, ამ მხრივ ჩემი პროექტი არსებითად არ განსხვავდება იმ პროექტისაგან, რომელიც მეფის ნაცვლის კანცელარიაში მზადდება. ჯერ უკანასკნელი საიდუმლოს წარმოადგენს, სიტყვაც ჩამომართვეს, რომ მე მას არ გამოვამჟღავნებ, მაგრამ ერთს რასმე-კი გეტყვით: პროექტი აშენებულია გადასახადის ცენზზე, რომლისთვისაც იბრძვის მთელი მოწინავე რუსეთი, რომელიც პირადად მეც სასარგებლოდ მიმაჩნია.

დამავიწყდა მეთქვა, რომ ჩემის აზრით კავკასიის ერობის უფლება უნდა გაფართოვდეს, მას უნდა ჩაჰბარდეს გადასახლების და ირრიგაციის საკითხები.

რაც შეეხება აწინდელ ადმინისტრატიულ ერთეულების [illegible] თში საერობო დაწესებულებათა განსახორციელებლად, ეს აზრი მე ამოვიღე იმერეთის თავად-აზნაურობის მიერ 1909 წელს შედგენილ მოხსენებიდან, საცა ამტკიცებენ ქუთაისის გუბერნიაში ზოგიერთ მაზრების გადამიჯნვას.

უკანასკნელ, მომხსენებელმა განუმარტა საზოგადოებას თავისი შეხედულება ადგილობრივ ენის უფლებაზე საერობო დაწესებულებებში. ბ. რჟევსკის აზრით საგუბერნიო ერობაში საქმის წარმოება რუსულად უნდა იყოს, ხოლო სამაზრო ერობაში—აუცილებლად ადგილობრივი ენა უნდა იყოს გამეფებული. ეს იმისთვის არის საჭირო,—ბრძანა ბ-მა რჟევსკიმ,-რომ რუსული ენა და რუსული კულტურა ყველგან გავრცელდეს, რაც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ამ მხრივ ძალას არავის დავატანთ, იძულებით გავრცელებას უარვჰყოფთ.

ქალთა წარმომადგენლობა მომხსენებლის აზრით, განხორციელდება მცირე საერობო ერთეულში და სამაზრო ერობაში.

— აქ თქმული და გაგონილი ოდნავადაც არ არღვევს ჩემს აზრებს და მეც მათ არ შევცვლი—ასე დააბოლოვა თავისი ბოლოსიტყვაობა ბ-მა რჟევსკიმ.

როგორც ზრდილობიან მასპინძლის წესი მოითხოვდა სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა ა. ფირალოვმა მადლობა გადაუხადა მომხსენებელს.

გ. ჟ.

## უბედურება რკინის გზაზე

ღამის 12 საათზე საგანგებო მატარებლით ქუთაისიდან სამტრედიაში ჩამოიარა მოძრაობის უფროსმა ბ-ნმა მადჟაროვმა. სამტრედიაში შეხვდი ბ.ბ. ექიმებს სიმონ დ—ძე ჯაფარიძეს (შავი ქვის საბჭოსას) და საქველმოქმედო ქართული საზოგადოების ქობულეთის ქსენონის გამგებს ს. ბენაშვილს. მათთან ერთად მიდიოდა ჟურნალისტი ბ. გრ. გველესიანი. ბ. ბ. ჯაფარიძე და გველესიანი მიდიოდნენ ქობულეთში ავადმყოფ პუბლიცისტისა და მოღვაწის ბ. ჟდანოვიჩის სანახავად. ექიმებმა რკინის გზის უფროსს განუცხადეს სურვილი თან წაჰყოლოდნენ მას და მარცხის მსხვერპლთათვის საექიმო დახმარება აღმოეჩინათ, რაზედაც უფროსი სიამოვნებით დათანხმდა.

13 სექტემბერს ნაშუადღევს, ციხის ძირის ბაქანის მახლობლად (რეპინის აგარაკთან) ზვავი ჩამოწოლილა, მატარებელთა მიმოსვლა რომ არ დაბრკოლებულიყო გამოუწვევიათ მუშები: ბათომის, ჩაქვის და თვით ქობულეთის უბნებისა თავიანთი ოსტატებით და მათი თანაშემწეებით—რიცხვით 60-მდე, მუშებს დაუწყიათ გზის ლიანდაგის გაწმენდა. გაწმინდას ცოტა-ღა ჰკლებია, ამ დროს სამტრედიიდან ჩამოუვლია სალამოს სააგარაკო მატარებელს. მატარებელი იქვე შეუჩერებიათ. საღამოს 7 საათია, ბნელა, წვიმს და ჰქრის. მგზავრებით სავსე მატარებელში მგზავრები მოლოდინში არიან... ამ დროს უცბად გაისმის გულშემზარავი, სასოწარკვეთილი ყვირილი: „გვიშველეთ! გვიშველეთ! ვიღუპებით! ვიხრჩვებით! გვიშველეთ! ხსენებულ ადგილას დიდი მაღალი 140—60 საჟენამდე მოსხლეტილი კლდეა, ქვეშ სიპი, ზეიდან აყალო წითელი მიწა, ძრიელ ფხვიერი. ლიანდაგიდან ზღვამდე ორი საჟენი იქნება, აქაც ფრიალოა სამი საჟენის სიმაღლეზე თუ მეტი. ზღვის კიდე აქ ღრმა არ არის. და აი უცაბედათ ახალი ზვავი (მეწყერი) დაშვებულა და წელთამდე ტალახში შეტოპილი მუშები ზღვაში გადაუცურებია. მუშების სასოწარკვეთილ ყვირილს მგზავრებშორის საერთო შიში გამოუწვევია, ზოგი მგზავრი მატარებლის ფანჯრიდან გადმომხტარა და გაქცეულა უგზო-უკვლოდ, ზოგი კინაღამ ზღვაში გადაჭრილა. ქალებს ზოგს გული წასვლია, ზოგს კივილი დაუწყვია. კონდუქტორ ქალებს, რომელთაც სხვისი დახმარება ევალება, თვით წასვლიათ გული და მოსავლელი გამხდარან. ორიოდ-სამი პირის მეოხებით მგზავრები დაუშოშმინებიათ, დაუჯერებიათ, რომ მატარებელს არავითარი შიში არ მოელის.

ბევრს სიყოჩაღე გამოუჩენია და გადაშვებულა ზღვის კიდისაკენ, ხელი მიუშველებია ტალღების მიერ ნაპირისკენ გამორიყულ მუშებისათვის და გადაურჩენია. გადარჩენილმა მუშებმა მიამბეს, რომ მათ დაკარგეს გრძნობა და ყვირილის მეტს ვერას ახერხებდნენ, ბევრი ერთი მეორეს მიაქანებდა უფსკრულისაკენ... მატარებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქობულეთში სტვენდა ყვირილით მსწრაფლ დაბრუნდა. გამოიწვიეს მუშები, ექიმები და სანიტარები ბათუმიდან და სამტრედიიდან. ქობულეთიდან-კი მაშინვე გაეშურა იქ დაბრუნებული ჯარის კაცები ე. წ. შინა მცველთა რაზმის (ოხრანა). ბათუმის მხრიდანაც ადრე მოეშველნენ. სამ საათში სამტრედიიდანაც ჩამოვიდა სანიტარული მატარებელი ექიმი ვ. ს. წერეთელით და მუშებით. მთელი ღამე არავის დაუსვენია, მუშაობდნენ თავსხმა წვიმაში. საშიშარ განსაცდელის მოლოდინში, არავინ იცოდა, თუ როდის იხუვლებდა კიდევ ზვავი... ბათუმის მხრიდან გადარჩენილები ბათუმში წაუყვანიათ, ქობულეთის მხრით-ქობულეთში. დილით, როცა ჩვენ ჩავედით, დაქანცული მუშები კიდევ განაგრძობდნენ ტალახ-ტლაპოსაგან ლიანდაგის წმენდას... ზვავი ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ გაუგლეჯია ნავთის საყვანი მილი. უძილო დაქანცული მუშები, წითელ ტალახში მთლად ამოთხუპნილნი, ნიჩაბს ძლივს ხმარობენ. საშინლად დაქანცულები ინჟინერები და ტეხნიკები... ძლივს მუშაობდნენ. შუადღის 12 საათზე გზა ამდენზე გასწმინდეს, რომ შესძლეს მატარებელთა მიმოსვლის აღდგენა.

ბევრი ვეცადე, მეც, სხვებმაც, მაგრამ დანამდვილებით ვერ გავიგეთ რამდენი მუშა აკლია. უფრო კი დაბეჯითებით მოგახსენებენ, შვიდი მუშა არც მკვდარი და არც ცოცხალი სჩანსო. მკვდარი-კი ვერც ერთი ვერ ვიპოვნეთ. ისე კი ვინც ადგილობრივ სურათს ნახავს ყველა იტყვის, რომ აქ რამდენიმე ათეული სული სასწაულებრივ გადარჩენილა. მუშები ამბობენ: ზღვის ტალღებმა ტალახი მოგვაშორეს, განბანილი ნაპირისაკენ გაგვრიყეს, თორემ ტალახი აუცილებლად დაგვახრჩობდაო...

ა. წულაძე.

## ყველამ ვცარცვოთ

### გორი.

საით მიდგეს კაცი, რომელ დაწესებულებაში შეიხედოს, რომ გლეხის შეუბრალებელ და უსამართლო ცარცვა-გლეჯის სურათს არ წააწყდეს. რაცა ხდება სოფლათ ამ მხრივ იმაზედ აღარას ვიტყვით, რადგანაც სამწუხაროთ ამას თვალი და ყური შეეჩვია და წერა და ლაპარაკიც მოგვბეზრდა; ხოლო როდესაც ამნაირივე შემზარავი სურათი გლეხის გაყვლეფისა ქალაქ ადგილებშიაც გვხდება, ეს კი მეტის-მეტია.

გამოხვალთ მოედანზედ, სადაც ნახევრად გატიტვლებულ გლეხს ხუთიოდ კვერცხი თავის მშიერი ცოლშვილისთვის მოუკლია და ქალაქში წამოუღია გასაყიდათ, წასდგომია ტყუპ კაკარდებში გამოწყობილი მასწავლებელი და ჩასციებია,—„ტაქსაზედ“ მომეცი, თორემ ეხლავე პოლიციაში ამოგაყოფინებ თავსაო. გლეხსაც, ხომ მოგეხსენებათ როგორ უყვარს პოლიცია, ამიტომ აძლევს „ტაქსაზედ“. იქით მიიხედავს საწყალ დედაკაცს დასდგომია ვიღაც ლიპ გამოშვერილი და მუქარა-დაცინვის კილოთი ეუბნება „ტაქსაზედ“ გაყიდე ეგ ხახვი, თორემ ხელად გაკურთხებინებო.

და რამდენი ამისთანა!

ნიხრიც გლეხისთვის არის მოგონილი და პოლიციაც. სხვას-კი ყველას შეუძლიან როგორც უნდა, ისრე მოიქცეს.

გაივლით სასამართლოს წინ, იქაც ოცი აბლაკატი ატუზულა, უცდიან გლეხებს: ზოგს არზის დაწერა უნდა, ზოგს ნომრის გამოწერა, ზოგს ვექილი. ყველა ამის გასაკეთებლად კი აბლაკატის შუაკაცობა არის საჭირო. შეხვალთ ფოჩტა-ტელეგრაფის დაწესებულებაში, აქაც ვიღაც ცალხელა მახინჯი დაძვრება,—ადრესებს უწერს სოფლის ხალხს ამანათებზედ და წერილებზედ. ესეც საწყალ გლეხს აჭკიდებია ბარგად.

აი ეხლაც გამოცხადდა ლურჯბილეთიანების მობილიზაცია და ქვეწარმავალებსა გაუთენდათ აღდგომა. როგორც მოგეხსენებათ, ლურჯ ბილეთიანებში ბევრია გადაწერილი ისეთი, რომელიც რაიმე ავადმყოფობის გამო იყო განთავისუფლებული, მაგრამ ეხლა ესენიც ცხადდებიან. სწორედ ეს სნეული და დავრდომილი ხალხი ხდებიან აბლაკატების საწიწკნად, როგორც ყორნისთვის ლეში. დაინახავენ თუ არა ორ გლეხს ერთად, მაშინვე მზრუნველიც გაუჩნდება: —ბიჭო, კარგი არზა გააკეთებინე, თორემ შენ ეგ თვალი ვერას გიშველის. ხომ იცი, რა დრო არის? არ გეგონოს, მკითხველო, რომ მარტო ყალბი არზებისა და თხოვნების წერით თავდებოდეს ამ ქვეწარმავლების მოქმედებ. აქ მინდა მოვიყვანო სხვათაშორის ერთი მაგალითი იმ ცარცვა-გლეჯისა, რომელიც ჩემის თვალით ვნახე.

გორში დაიარება ერთი ყველასაგან კარგად ცნობილი მასწავლებლად ნამყოფი, დღეს ღრმათ მოხუცი და პენსია დამსახურებული კოტე სამთლიკუდოვი. ამის ოინბაზობაზედ დიდიხანია ლაპარაკობდნენ, მაგრამ ბევრს კაცი არ დაიჯერებდა, სანამ მე თითონ არა ვნახე ჩემის თვალით ამის უგვანო და მოუხეშავი ყაჩაღობა. კოტე სამთლიკუდოვს ჰყოლია კარგი ნაცნობი ყასაბი შაქრო შაქარაშვილი, რომელსაც ეხლა იწვევდნენ, როგორც მოლაშქრეს. შაქროს მიუმართია კოტესთვის, როგორც ძველი გამოცდილი ოსტატისთვის დახმარების აღმოსაჩენად. კოტეც დაფაცურდა,—ძმა ძმისთვისა, შავ-დღისთვისა; მაგრამ რადგანაც ეხლა დროება ცოტა სხვანაირია, ამიტომ საქმის მოსაკვარაჭინებლათ შაქროს გამოართვა ჯერ ათი და მერე ორმოცდა ათი თუმანი გორელ ვაჭრის გიორგი სიდამონიძის თანდასწრებით.

შაქრო კომისიაში გამოცხადდა და რაკი ცოტა ავადმყოფი აღმოჩნდა, ამიტომ მხოლოთ ორი თვის შეღავათი მიიღო სრულიად განთავისუფლების მაგივრად, როგორც კოტე დაჰპირდა. შაქროს ეტყობა ეცოტავა მცირე შეღავათი სამოც თუმანში და სთხოვა რომ თავის მეგობარ კოტეს-ნაწილი მაინც დაებრუნებინა ამ ფულიდან.

8 ენკენისთვეს დილით ქუჩაში შემომხვდნენ გორში კარგათ ცნობილი ღვინით მოვაჭრე ნიკა სოლოღაშვილი და ქრთამის მიმცემი შაქრო. როდესაც სალამი მივეცი, ორივენი მომიახლოვდნენ და ნიკამ შეჩივლის კილოთი მითხრა:—ბატონო, ამისთანა უსამართლობა იქნება? ცუდ-უბრალო საქმეში სამოც თუმანს იღებენ! აიღე ათი, ოცი, განა არა კმარა?! მე ჯერ ვერ მივხვდი რაში იყო საქმე და როდესაც ჩავეკითხე სოლოღაშვილს გამოირკვა, რომ კოტეს გამოურთმევია შაქარაშვილისთვის სამოცი თუმანი იმ პირობით, რომ სამხედრო ბეგარისგან უნდა განთავისუფლებინა. დიდათ ამაღელვა და მაშინვე კოტესკენ გავექანე, მხოლოდ შაქარაშვილს და სოლოღაშვილს უთხარი, რომ იქვე მოეცადნათ. მივედი კოტესთან გამოუძახე და ვუთხარი,—კაცო კოტე, ყასბისთვის რომ სამოცი თუმანი გამოგირთმევია ეგ როგორი საქმეა?! აიღე ეხლავე ჩემს თვალწინ უკან დაუბრუნე, თორემ იცოდე სასტიკ ზომებს მივიღებ. ბევრი ლაპარაკი აღარ დამჭირდა, კოტემ მაშინათვე ჯიბეს იკრა ხელი და აკანკალებულის ხმით მომმართა: აი გენაცვალე, ეხლა მინდოდა ისევ უკან დამებრუნებინა, ამ სიტყვებთან ერთად სამოცი თუმანი უკლებლად დამიბრუნა. ფული გამოვართვი, ქუჩაში გამოვედი და მივმართე შაქროს სოლოღაშვილთან:—აი შენი ფული, შე მასხარავ, ამით სულ ცხვირში გცემ!..

ამის შემდეგ ფული წავიღე, გადავეცი სამხედრო უფროსს და ვსთხოვე დამნაშავების დასჯა, რადგანაც ამით ჩირქი ეცხება მთელ კომისიას. ეს ამბავი სწრაფათ გავრცელდა მთელ გორში და ამის შესახებ თვით მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლიც დამპირდა ზომების მიღებას. ასრე შეუბრალებლად იცარცვება ხალხი შუა ქუჩაში და პატრონი კი არავინ არის. უნდა მოგახსენოთ, რომ დროც კი ხელს უწყობს: აიმღვრა წყალი და ნაძირალებიც დაფაცურდნენ თევზის დასაჭერად. განა მარტო სამთლიკუდოვია ამის ჩამდენი?! იმის უკან რეზერვში მთელი ლეგიონი სდგას ეშმაკის კუდოვებისა, რომელნიც უმოწყალოდ ჰყვლეფენ ხალხს. ნეტა როდის და ვინ მოუღებს ბოლოს ამ საზიზღრობას?!

დეგოთელი.

## ს. იაშვილი

### „მოკლე სახელმძღვანელო ბუნების-მეტყველებისა“*).

1. იქნებ წინათ არ იყო, მაგრამ ეხლა არსებობს განსხვავება სიტყვებში: **ხელოვნური** და **ხელქმნილი** ანუ ნახელავი. სამწუხაროთ ყველაფერი ხელქმნილი ხელოვნური არ არის და ამიტომ სწორთქმისთვის უკეთესია სიტყვა „ხელოვნური“ მე-14 სტრიქონში ზემოდან მე-5ე გვერდზედ შეიცვალოს სიტყვა ხელქმნილით.

2. მე-15 სტრ. ზემ. სწერია: „ბუნების მეტყველებაში უმთავრესად ბუნებრივი სხეულებია შესასწავლი, ხოლო სხვათა შორის ბუნების მოვლენანიც.“

აქ უნდა იყოს ნათქვამი, რომ ბუნების მეტყველება შეეხება **ყველაფერს**, რაც კი ბუნებაში სინამდვილით არსებობს; ხოლო ეს მეცნიერება იმდენად არის განვითარებული და გაზრდილი, რომ იგი რამდენიმე შტოებად არის დაყოფილი და თითო შტო საკუთარ დარგს წარმოადგენს, როგორც, მაგ. ფიზიკა, ქიმია, მინერალოგია, გეოლოგია მეტეოროლოგია, მედიცინა და სხვა... ხოლო ამ სახელმძღვანელოში ამ სათაურით იგულისხმება ესა და ესა.

3.-მე 8 სტრ. ქვ. და ზოგ სხვა ადგილზედაც იხმარება გამოთქმა: „მკვდარი სხეული“, „მკვდარი ბუნება“.

ეს სიტყვა მთლად შეუფერებელია ამ ადგილზედ. შეიძლება სხეული მკვდარი იყოს და ორგანული კი იყოს. თუ ზნებავთ იმასაც ვიტყვი, რომ მკვდარი სხეული სწორედ იმასა ჰნიშნავს, რომ იგი ორგანული ბუნებისა ყოფილა და არის. სასურველია, რასაკვირველია, რომ უცხო სიტყვა ქართულით შეიცვალოს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ შეუფერებელიც რომ იყვეს, აუცილებლივ ქართული სიტყვა უნდა ვიხმაროთ. ეგეც არ იყოს, ხომ არის ნახმარი სიტყვები: „ცოცხალი და არა-ცოცხალი“. იქნებ სიტყვები: „ცხოველი და უცხოველო“-ც გამოდგეს, ან სხვა უფრო შესაფერი რამ. ყოველ შემთხვევაში ამ ადგილზედ სიტყვა „მკვდარი“ არ უნდა იხმარებოდეს.

4. ბ. მე-5 გვერდზედ ქვ. მე 4 სტრ. განუმარტებლად ნახსენებია სიტყვა „მადნეულობა“.

5. გ. მე-6 გვ. ზემ მე 3 სტრ. აგრეთვე პირველად არის ნახსენები სიტყვა „მინერალი“ და განმარტება კი არა აქვს მიცემული.

6. მე 6 გვერდი (და მე 7-დე) შემდეგი წინადადებით იწყება: „არა ცოცხალ ბუნებაშიაც სხეულები თავიანთ თვისებებით განირჩევიან: სხეული **მაგარი, სითხე და გაზები.**“

ეს წინადადება ძალიან უხეიხულად იკითხება და ამისი მიზეზი კი შეუფერებელ ტერმინების (ცნებასიტყვათა) ხმარებაა (თუმცა, რასაკვირველია, ეს მაინც ვერაფერი გასამართლებელი საბუთია). სხეულები თავისი თვისებებით ზოგია **მაგარი**, ზოგი **მდენარი** და ზოგიც **მქროლავი**.

სხვა-და-სხვა სითხისა შეიძლება იყოს მაგარი სხეულიც, მდენარიც და მქროლავიც. მე ვგონებ ამ სიტყვებს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმიტომ, რომ ეს სიტყვები უკეთესად გვაგებინებენ სხეულის თვისებებს, ყველა ეს სამი სიტყვა ქართული სიტყვებია, ყველა ამ სიტყვათაგანი ზედმესრული სახელია.

7. მე-7 გვერდის ბოლო სტრიქონებზედ სწერია: „მაგარი სხეულები ყველაზედ უფრო მძიმეა, სითხე კიდევ გაზზედ უფრო მძიმეა“.

ამ წინადადებაში უეჭველად უნდა ჩაემატოს სიტყვა: „ჩვეულებრივ, რადგან ეს საერთო, გამოუნაკლისი კანონი არ არის: ბუნებაში მოიპოვება ისეთი მდენარი სხეულები, რომლებიც მრავალ მაგარ სხეულზედ უფრო მძიმეა (ვერცხლის წყალი არ შეადგენს ერთად-ერთ მაგალითს). ამას გარდა ყოველივე გამდნარი ლითონი და მინერალი განა იგივე მდენარე არ არის?

8. მე-8 გვ. ქვემ. 11 სტრ.: „საზღვარ გარედ წონის დედად, ერთეულად შემოღებულია გრამი“. აქაც კარგი იქნებოდა, რომ აღნიშნული ყოფილიყო, სახელდობრ სად, რომელს ქვეყანაში იხმარება გრამი, ან ჩამატებული ყოფილიყო სიტყვები: ზოგ სახელმწიფოში. ეს საჭიროა ჯერ ერთი იმიტომ, რომ საზღვარ გარედ საკმაოდ მრავალი ქვეყანა მოიპოვება, სადაც საზოგადო ცხოვრებაში არ იხმარება გრამი, და მეორეც იმიტომ, რომ მეცნიერულ გამოკვლევისათვის ყველა სახელმწიფოში გრამსა ჰხმარობენ.

9. მე-8 გვ. ბოლოში სწერია: „სხეულის წონის გაგება, აწონვა ის არის, რომ ასაწონი სხეული **თავის** სიმძიმით აწევება ან სასწორის ჯამს და ან სასწორის მავთულს“.

ამ წინადადებაში არც ქართულია სწორი და არც განმარტება. ჩემის აზრით სხეულის წონის გაგება, აწონვა არის სხვა და სხვა სხეულების სიმძიმის შედარება ცნობილს სიმძიმესთან ან საზოგადოდ აღიარებულ სიმძიმის ერთეულთან.

10. მე-9 გვ. ქვ. 11 სტრ. სწერია: „ზამთარში თბილი ჰაერი ოთახიდან ზევით მიმდინარეობს, რადგანაც თბილი ჰაერი მსუბუქია, ხოლო ცივი გრილ ოთახიდან თბილისკენ მისწრაფება, რადგანაც ცივი ჰაერი თბილზედ უფრო მძიმეა.“ ვერც ეს აზრი არის სავსებით სწორეთ გამოთქმული. აქ დაპირისპირებული უნდა იყოს ორი მოვლენა: თბილი ჰაერი სიმსუბუქის გამო ზევით მიისწრაფის, ხოლო ცივი ჰაერი, რადგან იგი თბილ ჰაერზე მძიმეა, დაბლა მიდის.

11. მე-10 გვ. ზემ. მე 8 სტრიქონში დე შემდეგ სიტყვა „პრობკის“ ნაცვლად, რომ საზოგადო სახელი საცობელი იხმარებოდეს უკეთესი იქნება.

12. ამავე გვერდის მე-12 სტრიქონში დაბლა სურათის ასახსნელად „თოვლია“ ნახსენები; ხოლო თვით სურათზედ ყინულია დახატული. ესეც უბრალო რამაა, მაგრამ „ყინული“ რომ ყოფილიყო დაწერილი „თოვლის“ ნაცვლად ემჯობინებოდა.

13. მე-11 გვერდზედ სურათი № 3 ყირამალა არის დაბეჭდილი.

14. იმავე გვერდზედ სურათს № 4 ასოები „ა“ და „ბ“ სრულებით არ ესაჭიროება, ტექსტში ეს ასოები არ არის ნახსენები.

მ. შალ მბერიძე.

(შემდეგი იქნება)

*) იხილე „საქართველო“ № 208.

## დაბა-სოფლები

**ს. ჭალადიდი** (სენაკის მაზრა). 13 ენკენისთვეს, ასე ღამის ათი საათი იქნებოდა, თავ-აღებული სოფლის ნაძირალები ვასილ ჯაკობია და პროკოფი მაქაცარია დასცემიან ს. ჭალადიდის მცხოვრებლებს ექვს მოსახლეს და წაუღიათ ფული, ფეხსაცმელები და სხვა და სხვა ტანისამოსი, შემდეგ მიმალულან. ხოლო 15 ამა თვეს, ასე ღამის 9 საათზედ, შესულან სოფლის კანცელარიაში ისევ ეს ვაჟბატონები და მოუთხოვიათ მამასახლის დავითიასა და მწერალ კაკულიასაგან რევოლვერები, მათ მიუციათ. ამასობაში მოსწრებია კანცელარიის ისაული ძაკუ ჯოჯუა, რომელიც არ დამორჩილებია და დიდი წინააღმდეგობა გაუწევია. ბოროტ-გამზრახველები გაქცეულან. მათ გამოუდევნებია ჯოჯუა და დაუთვალთვალებია მათი ბინა. მერე დარაჯები გამოუგზავნია: მგალობელი, ჭურღულია და თოდია. რა წამს მისულან დანიშნულ ადგილას ისევ ჯოჯუას წინამძღოლობით გაუმართავთ სროლა. სახლში შევარდნილა თვით ჯოჯუა და მას შეჰყოლია დარაჯი მგალობელი, ვასილი ჯაკობია მოუკლავთ და მაქაცარია კი დაუჭრიათ. ჯოჯუა და დარაჯები, გარდა ერთი მგალობელისა, რომელიც ტყვიას ფეხებში გაუკაწრავს, უნებლათ გადარჩენილან. მოკლულ ჯაკობიას და მაქაცარიას აღმოაჩნდათ დიდ ძალი ნაცარცვი ბარგი, ნაპარავის და ნაქურდის საწყობი სხვა და სხვა ადგილას ჰქონიათ. მადლობის და ქების ღირსია ვაჟკაცობისათვის ძაკუ ჯოჯუა და იმედია არ დარჩება დაუჯილდოვებლად—ვისგანაც ჯერ არს.

მოკეთე.

**სოფ. ყვარელი.** თელავის მაზრაში ყვარელს სიფართოვით პირველი ალაგი უჭირავს. კომლთა რიცხვი აღემატება 900-სსა.

აქ არსებობს ფოჩტა-ტელეგრამის განყოფილება, ქსენონი (უექიმობის გამო დროებით დახურულია), ერთი სამინისტრო სასწავლებელი, რომელიც სრულებით ვერ აკმაყოფილებს საზოგადოებას. როგორც ყოველ წელს, აგრეთვე წელს, სკოლაში შესვლის მსურველთა რიცხვი აღემატებოდა 150 ს. ბედმა გაუღიმა მხოლოდ 50. დანარჩენი 100 ბავშვი დარჩა სკოლის გარედ. ესეთი მისწრაფება საზოგადოებისა განათლებისკენ მეტად გვახარებს. სიხარული მომეტებულად იზრდება, როდესაც გესმის სასწავლებლის ეზოში გაჯავრებულ კილოზედ გლეხის საყვედური, „მაშ ჩემსავით ჩემი შვილიც უსწავლელი დარჩეს, ის კაცი რა კაცია, რომელმაც თავის შობლიურ ენაზედ წერა-კითხვა არ იცისო“. ჯეროვან ყურადღების ღირსია ეს სიტყვები, მაგრამ ჩვენ და სამწუხაროდ ყურადღებას დღემდის არავინ აქცევდა, დღეს კი, როგორც ამ საზოგადოების ინტელიგენცია, აგრეთვე მთელი საზოგადოება ერთ ხმად სთხოვს პატივცემულ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და სკოლა გახსნას ს. ყვარელში, რომელმაც შობა და სადაც ირწებოდა აკვანი დაუვიწყარ მგოსნის ილია ჭავჭავაძისა. მის სახელზედ მისვე მამულში მთელ თელავის მაზრაში ეს სკოლა იქნება პირველი სკოლა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა.

ა. ზახიევი.

## შემოწირულება

რედაქციამ მიიღო აგარაკის სასარგებლოდ ლ. მ. დ. დ. მ. შემოსწირა ხუთი მანეთი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მოძრაობა
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

თფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 7 „ | | 58 „ | საღ. |


**თუ გსურთ,**

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

**მიმართეთ**
**ცნობის კონტორას**
**ი. თ. გვათუასას**

თბილისი, ვერის დაღმართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

გამოიცა და იყიდება
**კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში**
(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდენ, რომ „Новое Сслово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, н умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходыщимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.

(თ.—225—11)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
**კომერციულ ცოდნათა**
**კურსები**
**ტ. მ. ფილოიანისა**
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

(20—231—20)

**სავაჭრო სახლი**
**„ძმ. სესიევები და ამხ.“**
(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამ 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

**„განათლება“-ში**

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

**თევზის მრეწველნი**
**ძმ. ძეძველოვები**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითი ხიზალადა, მცირე მარილიანი, შავი „ზემზმჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.